ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3665319

ნომერი: AR1550947

თარიღი : 23.10.2017

გაცემის თარიღი : 13.11.2017

გაცნობის თარიღი : 16.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გუდამაყრის ქუჩა N25 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნინო სხირტლაძე პ/ნ 01007015559
- თბილისი ვ.ბაგრატიონის ქ. N 32

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 23 ოქტომბრის №AR1550947 განცხადებით მომართა ნინო სხირტლაძემ და მოითხოვა სამსახურის 2016 წლის 28

იანვრის №2406900 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, გუდამაყრის ქუჩა N25-ში, ნინო სხირტლაძისა და მიხეილ სხირტლაძის თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.12.06.015.014), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და განმარტავს, რომ საერთო ფართობად ნაცვლად 1859.33 კვ.მ-სა უნდა დაფიქსირდეს 1838,3 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად ნაცვლად 1140,8 კვ.მ-სა უნდა დაფიქსირდეს 1130,1 კვ.მ., საზაფხულო ფართობად ნაცვლად 219,9 კვ.მ-სა უნდა დაფიქსირდეს 211,1 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურმა გამოიკვლია 2017 წლის 23 ოქტომბრის №AR1550947 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა, შეადარა 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს 1838,3 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 1130,1 კვ.მ., საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს 211,1 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.